



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 68/ს
03/05/2022

68-21-4-202205031640



**თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლაფანყურის მიმდებარედ, შპს „ართანა ლოპოტას“
მდ. ლოპოტაზე 5.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ლოპოტა 1“ ჰესის ექსპლუატაციის
პირობების ცვლილებაზე (სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობის ცვლილება)
სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ართანა ლოპოტას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლაფანყურის მიმდებარედ, მდ. ლოპოტაზე 5.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ლოპოტა 1“ ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობის ცვლილება) სკრინინგის განცხადება.

შპს „ართანა ლოპოტას“ მდ. ლოპოტაზე 5.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ლოპოტა 1“ ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2018 წლის 3 ივლისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-535).

შპს „ართანა ლოპოტას“ მდ. ლოპოტაზე 5.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ლოპოტა 1“ ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე 2020 წლის 20 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-151), რომლის თანახმად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილია თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლაფანყურის მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 53.18.31.133; ფართობი: 150 322 მ²) ნაწილზე (5 428 მ²), რომელსაც შპს „ართანა ლოპოტა“ ფლობს აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X - 551082 Y , 4658581; X - 551106, Y - 4658528; X - 551022, Y - 4658490; X -

550998, Y - 4658543. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 185 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ლოპოტა - დაახლოებით 60 მ-ით. საპროექტო სამშენებლო ბანაკის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 465 მეტრში, მდ. ლოპოტას მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს „ტორნისის ღვთისმშობლის ეკლესია“, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 650 მეტრში - „დევისხვრელის სამნავიანი ბაზილიკა“.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორიის ადგილმდებარეობის ცვლილება, რაც განპირობებულია ერთი მხრივ, მშენებლობისათვის საჭირო ხარჯების და მეორე მხრივ, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით. გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებული იყო სოფ. ლაფანყურის ჩრდილოეთით, მდ. ლოპოტას მარცხენა სანაპიროზე, 13 594 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 53.14.46.036), ხოლო დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, სამშენებლო ბანაკის მოსაწყობად „ლოპოტა 1“ ჰესის დერეფანში, მდ. ლოპოტას მარჯვენა ჭალისზედა ტერასაზე, შეიქმნა 5 428 მ² ფართობის მქონე ტერიტორია.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე დაგეგმილია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსება: სამშენებლო მანქანების ტექნიკური დარბაზი (144 მ²); 3 ცალი აღჭურვილობის საწყობი (თითოეული - 30.13 მ²); არმატურის ცეხი (96.1 მ²); გაბიონების საწყობი (151.7 მ²); არმატურის საწყობი (88.2 მ²); 2 ცალი მილსადენის საწყობი (საერთო ფართობი - 738.6 მ²); მასალების საწყობი (220 მ²); საყალიბე საწყობი (198 მ²); კაბელების საწყობი (124.7 მ²); წინასწარ დამზადებული ბეტონის მასალების საწყობი (47.8 მ²); საასენიზაციო ორმო (8 მ³); სამეურნეო წყლის რეზერვუარი (5 მ³); ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის საწყობი (23.1 მ²); პირველადი დახმარების ცენტრი (9.6 მ²); კოვიდიზოლაციის ოთახი (ფართობი 9.6 მ²); 4 ცალი საოფისე შენობა (საერთო ფართობი - 76 მ²); დაცვის ჯიხური (15.6 მ²); ავტოსადგომი (509.5 მ²); სანიაღვრე წყლების შემკრები რეზერვუარი (4.5 მ³). საპროექტო ტერიტორიაზე ბეტონის კვანძისა და სამსხვრე-დამახარისხებელი დანადგარის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. ბანაკის ტერიტორიაზე სამშენებლო მასალების შემოტანა განხორციელდება მზა სახით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სამშენებლო ბანაკის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების საწყის ეტაპზე საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია პერიმეტრის შემოღობვა, ხე-მცენარეული საფარის გარემოდან ამოღება და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობება. აღნიშნულის შემდგომ, საპროექტო ტერიტორია დაიფარება ღორღით. პროექტის ფარგლებში მასშტაბური მიწის სამუშაოების განხორციელება დაგეგმილი არ არის. ტერიტორიაზე მოეწყობა მსუბუქი კონსტრუქციის შენობა-ნაგებობები, რომელთა განთავსება არ საჭიროებს ღრმა საძირკვლების მოწყობას. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება გრუნტის საავტომობილო გზა, შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ ითვალისწინებს დამატებითი

მისასვლელი გზების მოწყობას. სამშენებლო ბანაკის მოწყობის სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს და პროექტის ფარგლებში დასაქმდება 10 ადამიანი. სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული იქნება: თითო ბულდოზერი და საწვავმზიდი; 5 ცალი სატვირთო ავტომობილი; 3 ცალი ექსკავატორი; 2 ცალი ამწე. დასაქმებული პერსონალის გადასაყვანად გამოყენებული იქნება 3 ცალი მიკროავტობუსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო ბანაკის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება დაგეგმილია მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. სამშენებლო ბანაკის სასმელი წყლით მომარაგება მოხდება ბუტილირებული სახით, ხოლო სამეურნეო წყლით უზრუნველყოფა გათვალისწინებულია სოფ. ველისციხის წყალმომარაგების ქსელიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, ავტოციტერნების მეშვეობით. სამეურნეო წყლისთვის საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა 5 მ³ მოცულობის რეზერვუარი. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად ობიექტზე დაგეგმილია 8 მ³ მოცულობის ჰერმეტიული სასენიზაციო ორმოს მოწყობა, რომელიც დაიცლება პერიოდულად, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები, ღია არხების საშუალებით, შეიკრიბება ობიექტზე გათვალისწინებულ 4,5 მ³ მოცულობის მქონე რეზერვუარში და შემდგომში, გამოყენებული იქნება სამშენებლო სამუშაოებისას წარმოქმნილი მტვრის შემცირების მიზნით საპროექტო ტერიტორიის პერიოდული დანამვისთვის და ასევე, ხე-მცენარეების მოსარწყავად.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სამშენებლო ბანაკის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებისა და ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება სამშენებლო ტექნიკა და ავტოტრანსპორტი. საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროების განთავსება დაგეგმილი არ არის. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობის (3 თვე) და უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით (185 მ), სამშენებლო ბანაკის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სამშენებლო ბანაკის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ინერტული, საყოფაცხოვრებო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. დოკუმენტის თანახმად, წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება „ლოპოტა 1“ ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტისთვის შემუშავებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ფარგლებში, საკვლევ არეალში გაყვანილი იქნა ჭაბურღილები და შურფები. ჩატარებული კვლევის თანახმად, გეოლოგიური თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში და გეოლოგიურ პირობებზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილია 0.08-1 მ სიმძლავრით. როგორც უკვე აღინიშნა, სამშენებლო სამუშაოების საწყის ეტაპზე მოხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობება. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. რეკულტივაციის პროექტი, შეთანხმდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებულია „ლოპოტა 1“ ჰესის დერეფანში, სადაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე განხორციელდა დეტალური ფლორისტული და ფაუნისტური კვლევები და განისაზღვრა შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე, აღირიცხა გარემოდან ამოსაღები მერქნული რესურსები. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, მცენარეულ საფარზე დამატებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. სამშენებლო ბანაკის მოწყობა და ექსპლუატაცია განხორციელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული და ჭარბტენიანი ტერიტორიების სიახლოვეს და არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებში. სამშენებლო ბანაკის განთავსების ტერიტორიაზე არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ ფიქსირდება, რაც დადასტურებულია საპროექტო არეალში ჩატარებული კვლევის შედეგებით. როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 465 მეტრში, მდ. ლოპოტას მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს „ტორნისის ღვთისმშობლის ეკლესია“, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 650 მეტრში - „დევისხვრელის სამნავიანი ბაზილიკა“. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე, შეთანხმდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან. ვინაიდან, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე არ არის დაგეგმილი მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები, საპროექტო ტერიტორიიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, მათზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამინისტროში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის გადაწყვეტილების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლაფანყურის მიმდებარედ, შპს „ართანა ლოპოტას“ მდ. ლოპოტაზე 5.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ლოპოტა 1“ ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობის ცვლილება) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ართანა ლოპოტამ“, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, უზრუნველყოს დაგეგმილი სამშენებლო ბანაკის მოწყობის საკითხის სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან“ შეთანხმება;
3. შპს „ართანა ლოპოტა“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2018 წლის 3 ივლისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-535) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით;
4. შპს „ართანა ლოპოტასთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2018 წლის 3 ივლისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება №2-535) პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ართანა ლოპოტას“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ართანა ლოპოტას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და თელავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო